186
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3

მაისი — ივნისი

1972 წ.

ინდექსი — 76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 3 მაისი-ივნისი 1972 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

42. ქალაქ ქუთაისში კ. მარჯანიშვილის ბიუსტის დადგმის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

43. საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად ცხაკაიას, თელავისა და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების თაოსნობის შესახებ.
44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
45. პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და ჯილდოების დაწესების შესახებ.
46. რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების სპეციალური ტანსაცმლითა და სპეციალური ფეხსაცმლით უზრუნველყოფის წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

12003

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
48. საქართველოს სსრ ტყეების ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფისა და ტყის ჭრის წესების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
49. სპირტის, მაგარი სპირტიანი სასმელებისა და შემაგრებული ღვინოების წარმოების მოწესრიგების შესახებ.
50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) დებულების დამტკიცების შესახებ.
51. კოლმეურნეობათა წევრების მიერ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ
52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
53. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
54. „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
56. საკლომეურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობის შესახებ.
57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
58. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.
59. საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებისათვის იაკობ გოგებაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ.
60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

42 ქალაქ ქუთაისში კ. მარჯანიშვილის ბიუსტის დადგმის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნა და კ. მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ნება დაერთოს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დადგას გამოჩენილი რეჟისორის ბიუსტი ქალაქ ქუთაისში.

2. ბიუსტის დადგმის დაფინანსება მოხდეს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტით გასავალზე შემოსავლის გადამეტების სახსრების ხარჯზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს უზრუნველყოს ბიუსტის მაღალი მხატვრული დონე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მუავანაძე.	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1972 წ. 28 ივნისი, № 367.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

43 საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად ცხაკაიას, თელავისა და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების თაოსნობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოწონებულ იქნეს ცხაკაიას, თელავისა და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების თაოსნობა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გასაშლელად, დევიზით: „გადავაქციოთ ჩვენი ქალაქი სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად“.

2. რჩევა მიეცეს რესპუბლიკის რაიონული დაქვემდებარების ყველა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მხარი დაუჭირონ ცხაკაიას, თელავისა და მახარაძის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების თაოსნობას და ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ღირსშესანიშნავი თარიღის ახალი წარმატებებით შეხვედრისათვის.

3. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საქალაქო საბჭოებისათვის დაწესდეს ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 200 მანეთი, მეორე ფულადი პრემია — 150 მანეთი, მესამე პრემია — 100 მანეთი.

4. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს სახსრები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საქალაქო საბჭოების აღმასკომების მუშაკთა დასაჯილდოებლად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ჯგუფმა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1973 წლის იანვარში შეაჯამონ საქალაქო საბჭოების მიერ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მაჩვენებლები და სათანადო მასალები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 11 მაისი, № 243.

44 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ კოლეგიამ და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1972 წლის 27 აპრილს (ოქმი 4-4) დაამტკიცეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების პირობები და წესი“, ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაცი-

ათა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების პირობები", რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 28 იანვრის № 52 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 22 მაისი, № 261.

45 პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების გადიდებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი ჯილდოების დაწესების შესახებ

პირუტყვის მაღალხარისხოვანი საკვების წარმოების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა შრომითი აქტივობის, შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლებისა და მათი წახალისების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს:

— რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისათვის შემდეგი გარდამავალი წითელი დროშები და ფულადი პრემიები:

ა) რესპუბლიკის რაიონებისათვის — სამი პრემია, მათ შორის:

— გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია 3000 მანეთის ოდენობით;

— მეორე ფულადი პრემია — 2000 მანეთი;

— მესამე ფულადი პრემია — 1000 მანეთი;

ბ) კოლმეურნეობებისათვის — ექვსი პრემია, მათ შორის:

— ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

— ორი მეორე და სამი მესამე ფულადი პრემია;

გ) საბჭოთა მეურნეობებისათვის — სამი პრემია, მათ შორის:

— ერთი გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია;

— თითო მეორე და მესამე ფულადი პრემიები

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფულადი პრემიების ოდენობა განისაზღვროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1966 წლის 1 დეკემბრის № 658 დადგენილების მესამე პუნქტით დაწესებული პრემიების შკალის თა-

ნახმად, ხოლო ფულადი პრემიების მიკუთვნება და მისი გამოყენება — ამავე დადგენილების მეექვსე პუნქტის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს სოციალისტური შეჯიბრების პირობები № 1 და № 2 დანართების თანახმად.

3. პირუტყვის საკვების წარმოების გადიდებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება მოხდეს 1972 წლიდან წელიწადში ერთხელ 1 ნოემბრის მდგომარეობით, საბუღალტრო და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს რაიონებს შორის განიხილავენ და შეაჯამებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი და შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების დასაჯილდოებლად თავიანთ წინადადებებს წარუდგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის განიხილავენ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და საბჭოთა მეურნეობების ტრესტები და მათი წარდგენით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი თავიანთი დადგენილებით გარდამავალ წითელ დროშასა და ფულად პრემიას მიანიჭებენ დაქვემდებარებულ მეურნეობას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1969 წლის 25 სექტემბრის № 556 დადგენილების შესაბამისად.

4. ფულადი პრემიები მიეცეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საბჭოთა მეურნეობებს მათი ზეგეგმითი მოგებიდან ან ზეგეგმითი ეკონომიის ხარჯზე.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის დარგში სათანადო სახსრები რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონებისა და კოლმეურნეობათა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 6 ივნისი, № 315

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1972 წლის 6 ივნისის № 315
დადგენილების დანართი № 1

სოციალისტური შეჯიბრების პირობები რაიონებისათვის

1. საკვები კულტურების თესვის, მოსავლიანობის და ყველა სახის მაღალხარისხოვანი საკვების დაგროვების გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

2. ყოველი ცენტნერი წარმოებული საკვების თვითღირებულების შემცირება არანაკლებ 1 პროცენტისა.

3. სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმის შესრულება.

4. რაიონის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ პირუტყვის საკვების დაგროვების გეგმის შესრულება.

5. პირუტყვის საკვების ხარისხის ამაღლების გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულება, სენაჟისა და ვიტამინიზებული საკვების წარმოება, თივის ფქვილის დამზადება, თივის დამზადება აქტიური ვენტილაციით, ღორებისათვის კომბინირებული სილოსის მომზადება, სასილოსე და სენაჟის კოშკებისა და ორმოების მშენებლობა, ფერმებთან საკვების გადამმუშავებელი საამქროების მოწყობა, უხეში საკვების პროგრესული მეთოდებით გადამუშავება და გამდიდრება თივის ფქვილითა და სხვა დანამატებით და საკვების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა განხორციელება.

6. საკვების სწორი აღრიცხვა, შენახვა და რაციონალურად გამოყენება.

7. კულტურული საძოვრების, მათ შორის მაღალპროდუქტიული მრავალწლიანი სარწყავი საძოვრების მოწყობის, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა გეგმის შესრულება.

8. საკვები კულტურების თესლის წარმოების გეგმის შესრულება და მეურნეობის უზრუნველყოფა საკუთარი სათესლე მასალით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და
საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1972 წლის 6 ივნისის № 315
დადგენილების დანართი № 2

სოციალისტური შეჯიბრების პირობები

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის

1. ყველა საკვები კულტურის თესვის, მოსავლიანობის და ყველა სახის საკვების დაგროვების გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

2. ყოველი ცენტნერი წარმოებული საკვების თვითღირებულების შემცირება არანაკლებ 2 პროცენტისა.

3. სახელმწიფოსათვის თივის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

4. გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის საკვების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელება.

თივის დამზადება აქტიური ვენტილაციით, ვიტამინიზებული საკვებისა და სენაჟის წარმოების დავალების გადაჭარბებით შესრულება, თივისა და სხვა უხეში საკვების გამდიდრება სხვადასხვა დანამატებით, ღორებისათვის კომბინირებული სილოსის დამზადება, ფერმებთან საკვების გადამამუშავებელი საამქროების მოწყობა და საკვების გაუმჯობესების პროგრესული მეთოდების დანერგვა. სასილოსე და სენაჟის კოშკებისა და ორმოების მშენებლობის გეგმის შესრულება.

5. საკვების სწორი აღრიცხვა, შენახვა და რაციონალურად გამოყენება.

6. კულტურული საძოვრების, მათ შორის სათიბებისა და საძოვრების, ძრავალწლიანი სარწყავი საძოვრების მოწყობის, გაუმჯობესებისა და სხვა ღონისძიებათა გეგმის შესრულება.

7. საკვები კულტურების თესლების წარმოების გეგმის შესრულება და მეურნეობის უზრუნველყოფა საკუთარი სათესლე მასალით.

---

46 რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების და არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების სპეციალური ტანსაცმლითა და სპეციალური ფეხსაცმლით უზრუნველყოფის წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის სახმომარაგებამ შეცვალა სპეციალური ტანსაცმლითა და სპეციალური ფეხსაცმლით საწარმოთა და ორგანიზაციათა უზრუნველყოფის წესი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

„საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და საცავი ხელსაწყოებით უზრუნველყოფის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1968 წლის 28 მარტის № 135 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაეკისროს 1973 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს მოვალეობა უზრუნველყოს რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები, აგრეთვე არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ფონდებით ხორციელდება, სპეციალური ტანსაცმლითა და სპეციალური ფეხსაცმლით, ამასთან შენარჩუნებულ იქნეს აღნიშნული დადგენილებით საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებებისათვის გათვალისწინებული წესი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 22 ივნისი, № 347.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

47 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება იმ მუშებისა და მოსამსახურეების გამოსახლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„129. აგარის შაქრის კომბინატის საცხოვრებელი სახლები.

130. თბილისის ქალალდის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 3 მაისი, № 221.

48 საქართველოს სსრ ტყეების ჯგუფებად და ქვეჯგუფებად დაყოფისა და ტყის ჭრის წესების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა და სამოქმედოდ შემოიღო საქართველოს სსრ ტყეებში მთავარი სარგებლობის ჭრის ახალი წესები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 80 დადგენილების მე-2 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 24 მაისი, № 267.

49 სპირტის, მაგარი სპირტიანი სასმელებისა და შემაგრებული ღვინოების წარმოების მოწესრიგების შესახებ

საკვები ნედლეულისა და არაყისაგან სპირტის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო მონოპოლიის მტკიცე დაცვის, აგრეთვე კონიაკების, ლიქიორ-არაყის ნაწარმის, შემაგრებული ყურძნისა და ხილკენკრის ღვინოების წარმოების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1972 წლის 1 ივლისიდან:

ა) ეთილის სპირტის გამომუშავება საკვები ნედლეულისაგან, არაყის, ლიქიორ-არაყის ნაწარმის, კონიაკებისა და სხვა მაგარი სპირტიანი სასმელების წარმოება შეიძლება განახორციელონ მხოლოდ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს" შეუძლია დაამზადოს ნედლი სპირტი საკუთარი საჭიროებისათვის იმ მოცულობით, რაც ყოველწლიურად იქნება გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმით;

ბ) მაგარი ყურძნის ღვინის წარმოება შეიძლება განახორციელონ მხოლოდ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებმა, ხოლო ხილ-კენკრის ღვინისა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნისა" და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებმა, რომლებსაც აღნიშნული ღვინოების წარმოების მოცულობა დაუწესდებათ სახალხო-სამეურნეო გეგმით.

2. აეკრძალოთ ყველა სამინისტროსა და უწყებას საკვები ნედლეულისაგან ეთილის სპირტის, ხილ-კენკრის ღვინოებისა და სხვა მაგარი სასმელების წარმოება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 24 მაისი, № 268.

50 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) შესახებ და მისი სტრუქტურა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 25 ივლისის № 489 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 29 მაისი, № 290

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 29 მაისის № 290
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტო — საქინფორმი არის რესპუბლიკის საკავშირო-რესპუბლიკური საინფორმაციო ორგანო. საქინფორმი სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების უფლებებით და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკდესს).

2. საქინფორმის მთავარი ამოცანებია:

ა) ფართო ინფორმაციის მიწოდება რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის:

სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის შესახებ;

კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის წარმატებების, ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლების აღმავლობის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების შესახებ;

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობის, სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, ცხოვრების საბჭოური წესის, საბჭოთა ადამიანების შრომითი ენთუზიაზმისა და პატრიოტიზმის შესახებ;

მასების კომუნისტური აღზრდისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად მშრომელთა მობილიზაციისა და სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ;

სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის, მარქსიზმ-ლენინიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის სკკპ ბრძოლის შესახებ;

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მიღწევების, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის შესახებ, კაპიტალის ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლისა და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ.

ბ) რესპუბლიკური ინფორმაციისა და ფოტოინფორმაციის იდეური შინაარსისა და ხარისხის ამაღლება, რათა იგი აქტიურ გავლენას ახდენდეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ატარებდეს ოპერატიულ, შემტევ ხასიათს, იყოს მკაფიო, დამაჯერებელი, სარწმუნო; ინფორმაციისა და ფოტოინფორმაციის გეოგრაფიისა და თემატიკის გაფართოება.

Nanuli

3. დაკისრებული ამოცანების შესაბამისად საქინფორმი:

გაავრცელებს რესპუბლიკის პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოსათვის საკდესის საკავშირო და უცხოეთის ინფორმაციასა და ფოტოინფორმაციას;

შეაგროვებს ინფორმაციას და ფოტოინფორმაციას რესპუბლიკის ცხოვრების შესახებ და გაავრცელებს მას რესპუბლიკური პრესისათვის, ტელევიზიისა და რადიოსათვის;

გაავრცელებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სსრ ოფიციალური ინფორმაციისა და ოფიციალური დოკუმენტების ტექსტსა და შინაარსს, რომლებიც განკუთვნილია გამოსაქვეყნებლად, აგრეთვე საკუთარ მიმოხილვებსა და კომენტარებს;

გადასცემს საკდესს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გასავრცელებლად რესპუბლიკურ ინფორმაციას და ფოტოინფორმაციას, რომელიც საინტერესოა საერთო-საკავშირო მასშტაბით და საზღვარგარეთისათვის;

საჭიროების მიხედვით აწარმოებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საინფორმაციო სააგენტოებთან ინფორმაციის თარგმანების ტექსტებისა და ოფიციალური დოკუმენტების გაცვლას შესაბამის ეროვნულ ენებზე;

გადასცემს რესპუბლიკის გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს მათთვის სავალდებულო მითითებებს ინფორმაციის გამოქვეყნების რიგითობის, ვადებისა და წესის შესახებ;

მოაწყობს რესპუბლიკაში ინფორმაციის შესაგროვებლად საკუთარი მუდმივი განყოფილებებისა და საკორესპონდენტო პუნქტების ქსელს;

საჭიროების შემთხვევაში მიავლინებს თავის სპეციალურ კორესპონდენტებს რესპუბლიკის ფარგლებში და მის საზღვრებს გარეთ;

გამოსცემს და გაავრცელებს საინფორმაციო და ფოტოსაინფორმაციო მასალებს ბიულეტენების, მოამბეების, ბროშურების, ფოტოსურათებისა და ფოტოგამოფენების, ილუსტრირებული გამოცემების სახით;

ინფორმაციისა და ფოტოინფორმაციის მისაღებად, გადასაცემად და რესპუბლიკაში მის გასავრცელებლად სარგებლობს კავშირგაბმულობის საკუთარი საშუალებებითა და მოწყობილობით, აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსაგან იჯარით აღებული სადენიანი არხებით, რადიოარხებითა და მოწყობილობით;

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად განავითარებს სატელეტაიპო და სხვა კავშირს თავის განყოფილებებთან, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებთან რესპუბლიკაში. რესპუბლიკის გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებთან ერთად უზრუნველყოფს კავშირთა ქსელის ნორმალურ მუშაობას და ინფორმაციის დროზე გადაცემას მიმღებთათვის.

4. საქინფორმი ავრცელებს საკდესისაგან მიღებულ საკავშირო და უცხოეთის ინფორმაციას, აგრეთვე საკუთარ რესპუბლიკურ ინფორმაციას ქართულ ენაზე, რესპუბლიკის სხვა ენებზე და რუსულ ენაზე.

5. საქინფორმი პასუხისმგებელია საკდესში გადაცემული და რესპუბლიკაში გავრცელებული რესპუბლიკური ინფორმაციის სისწორისათვის, ქართულ, რესპუბლიკის სხვა ენებსა და რუსულ ენაზე ინფორმაციის თარგმნის სიზუსტისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ დროზე გადაეცეს ინფორმაცია მიმღებთ.

6. საქინფორმისა და მისი კორესპონდენტების საინფორმაციო დეპეშების გადაცემის ანაზღაურება და მათ მიერ სატელეგრაფო არხების იჯარა წარმოებს შეღავათიანი ტარიფით.

საქინფორმისა და მისი კორესპონდენტების კორესპონდენციას და ფოტოდეპეშებს დაამუშავებს და გადასცემს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო მთავრობის დეპეშების კატეგორიით, ტელეფონით ლაპარაკი დაეთმობა სისწრაფის მეორე კატეგორიით, ხოლო საქინფორმის დირექტორს — სისწრაფის პირველი კატეგორიით.

7. საქინფორმი მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე. მის შემოსავალს შეადგენს ინფორმაციისა და ფოტოინფორმაციისათვის საფასურის გადახდევინება, აგრეთვე საგამომცემლო საქმიანობა.

საქინფორმი დადგენილი წესით გადაახდევინებს რესპუბლიკის გაზეთებს, რადიოს, ტელევიზიას, სხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ხელმოწერის საფასურს ყველა სახეობის ინფორმაციისა და ფოტოინფორმაციისათვის, რომელსაც იგი ავრცელებს;

გზავნილებისა და ინფორმაციის მიწოდების საშუალებათა ანაზღაურება წარმოებს ხელმომწერთა ხარჯზე.

8. საქინფორმი სარგებლობს ავტორის ყველა უფლებით, მათ შორის იმის უფლებით, რომ ცნობების ქვეშ აღნიშნოს თავისი დასახელება და თავის კორესპონდენტთა გვარები.

9. სააგენტოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, გარდა მიმღები და გადამცემი მოწყობილობითა და ფოტოაპარატურით უზრუნველყოფისა, წარმოებს რესპუბლიკის ფონდების ხარჯზე და მას აწესრიგებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კავშირგაბმულობის მიმღები და გადამცემი მოწყობილობითა და ფოტოაპარატურით საქინფორმი მარაგდება ცენტრალიზებული წესით საკდესის მეშვეობით.

10. საქინფორმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

11. საქინფორმს სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკდესთან შეთანხმებით.

დირექტორი სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის უფლებებით;

დირექტორს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკდესთან შეთანხმებით;

დირექტორი ხელმძღვანელობას უწევს სააგენტოს საქმიანობას, არის კრედიტების განმკარგულებელი, მას ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სააგენტოზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის. იგი დააწესებს დირექტორის მოადგილეების, რედაქციების, განყოფილებებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სააგენტოს მუშაობის ცალკეული დარგებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორი თავის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე საქინფორმისათვის შესასრულებლად სავალდებულო ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათ შესრულებას.

დირექტორი დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სააგენტოს აპარატის მუშაკებს, დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს სააგენტოს სარედაქციო, საწარმოო და ადმინისტრაციულ ქვედანაყოფებს.

12. საქინფორმში შეიქმნება კოლეგია, რომელშიაც შევლენ დირექტორი (კოლეგიის თავმჯდომარე) და დირექტორის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სააგენტოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია განიხილავს სააგენტოს ამოცანების შესრულებასთან, რესპუბლიკაში საინფორმაციო სამსახურის მოწყობასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს და სააგენტოს საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს, შეამოწმებს კოლეგიის გადაწყვეტილებათა შესრულებას, მოისმენს სააგენტოს რედაქციების, განყოფილებების ხელმძღვანელთა მოხსენებებს;

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება დირექტორის ბრძანებებით.

13. რესპუბლიკის საინფორმაციო სააგენტოს დებულებას და მის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკდესთან შეთანხმებით.

საქინფორმის აპარატის საშტატო განრიგს ამტკიცებს სააგენტოს დირექტორი.

14. საქინფორმს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ეერბი და თავისი დასახელება.

———

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 29 მაისის № 290
დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს სტრუქტურა

კოლეგია
დირექტორი
დირექტორის მოადგილეები
I. რესპუბლიკური ინფორმაციის მთავარი რედაქცია
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინფორმაციის რედაქცია
სამრეწველო-ეკონომიური ინფორმაციის რედაქცია
სოფლის ცხოვრებისა და ვაჭრობის რედაქცია
კულტურის, სპორტის, საერთაშორისო კავშირურთიერთობის რედაქცია
ინფორმაციის ჯგუფი რაიონული გაზეთებისათვის
II. ინფორმაციის მთავარი რედაქცია საკავშირო და უცხოეთის პრესისათვის
III. ინფორმაციის მთავარი გამოშვება
თარგმანების განყოფილება
კორექტურის განყოფილება
მასალების გავრცელების განყოფილება
IV. კავშირგაბმულობის სამსახური
V. ფოტოინფორმაციის მთავარი რედაქცია
საკავშირო ინფორმაციის რედაქცია
რესპუბლიკური ინფორმაციის რედაქცია
ფოტოინფორმაციის გამოშვება
VI. ცენტრალური ბუღალტერია
VII. დამხმარე განყოფილება
VIII. ფოტოსტუდია (დამოუკიდებელ ბალანსზე)

12003

შენიშვნა: ამ სტრუქტურით გაუთვალისწინებელ დამოუკიდებელ განყოფილებებსა და სამსახურებს შექმნის სააგენტოს დირექტორი ლიმიტებისა და ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ სსრ საბჭოთა
ეროვნული ბიბლიოთეკა

51 კოლმეურნეობათა წევრების მიერ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებებით სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს:

ურჩიონ კოლმეურნეობებს გადარიცხონ კოლმეურნეობათა წევრების წერილობითი დავალებებით სსრ კავშირის სახდაზღვევის ორგანოების ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში მათი კუთვნილი შემოსავლიდან პირადი დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო შენატანები;

მოაწყონ რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან ერთად მოხსენებები, საუბრები და ახსნა-განმარტებითი მუშაობა კოლმეურნეთა პირადი დაზღვევისა და სადაზღვევო შენატანების გადახდის ახალი წესის საკითხებზე, ამასთან უზრუნველყონ კოლმეურნეთა მაქსიმალურად მოზიდვა ნებაყოფლობითს პირად დაზღვევაში;

სახელმწიფო დაზღვევის საქალაქო და რაიონული ინსპექციების მუშაობის მოცულობისა და შტატების რაოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განიხილონ ინსპექციებისათვის სათანადო სამსახურებრივი სადგომების გამოყოფის საკითხი.

აცნობონ კოლმეურნეობათა ბუღალტერიების მუშაკებს, რომ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო შენატანების გადარიცხვის შესახებ კოლმეურნეთა წერილობითი დავალებების შესრულებისათვის მათ მიეცემათ გასამრჯელო შემოსული თანხების 2 პროცენტამდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შემდგომ გააუმჯობესოს კოლმეურნეობათა დაზღვეული წევრების მომსახურება რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ და ნებაყოფლობის პრინციპის მტკიცედ დაცვა მათ მიერ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდისას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახდაზღვევის მთავარ სამმართველოს 1972 წლის ივნის-ივლისის განმავლობაში მოაწყოს რაიონებში კოლმეურნეობათა ბუღალტრების საინსტრუქციო თათბირები კოლმეურნეობათა წევრების მიერ პირადი დაზღვევის ხელშეკრულებათა სადაზღვევო შენატანების უნაღდო ანგარიშსწორების გზით გადახდის დოკუმენტაციის გაფორმების წესის საკითხებზე ისე, რომ მტკიცედ იქნეს დაცული ნებაყოფლობის პრინციპი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყოს მშრომელთა პირადი დაზღვევის იმ მხატვრულ-ტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტობრივი და სხვა სარეკლამო მასალების დაბეჭდვა, რომლებსაც საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო წარუდგენს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 1 ივნისი, № 299

52 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება მუშათა და მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

131. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა დამამზადებელ საწარმოთა საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 31 მაისი, № 300.

53 საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 11 მარტის № 145 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წლის 2 ივნისი, № 305.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 2 ივნისის № 305
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის საძინისტროს.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობს სასოფლო მშენებლობას რესპუბლიკის ტერიტორიაზე, განიხილავს ამ მშენებლობის ორგანიზაციის ზოგად საკითხებს, განახორციელებს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კომპლექსურ განაშენიანებას, აგრეთვე სხვა საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობას სოფლად.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო პასუხისმგებელია სასოფლო მშენებლობის განვითარებისა და მისი ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, იმ მშენებლობის მდგომარეობისათვის, რომელსაც საქვეუწყებო ორგანიზაციები ახორციელებენ, საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებათა დროულად შესრულებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვისათვის, მშენებლობის ხარისხისათვის, აგრეთვე სამშენებლო ინდუსტრიის მდგომარეობისა და განვითარებისათვის და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეთა ზრდისათვის სასოფლო მშენებლობის განვითარების პერსპექტივების შესაბამისად.

2. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მთავარი ამოცანებია:

სასოფლო მშენებლობის ყოველნაირად განვითარება, საწარმოო სიმძლავრეთა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებების, საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულება, აგრეთვე სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

სასოფლო მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის სრულყოფა, მეცნიერების, ტექნიკის უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა მშენებლობაში;

სამშენებლო ორგანიზაციათა საჭირო საწარმოო ბაზის განვითარება, ამ მიზნებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლება, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება;

შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება, აგრეთვე ზომების მიღება შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების შემცირებისათვის;

მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, მშენებლობის ხანგრძლივობის შემცირება.

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა მუდმივი კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაოთა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფა, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების ახალი საშუალებებისა და ხერხების დანერგვა.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობას გაუწევს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან მის მიერ დადგენილი წესით შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბრძანებებით, მითითებებითა და ინსტრუქციებით, სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო განაზოგადებს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მისი გაუმჯობესებისათვის და განსახილველად წარუდგენს ამ წინადადებებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს.

5. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს საქვეუწყებო საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და უზრუნველყოფს მათს შესრულებას;

ბ) უზრუნველყოფს სამინისტროს ორგანიზაციების მიერ სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა დროულად შესრულებას პირველ რიგში საექსპლოატაციოდ გადასაცემ მშენებლობებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მშენებლობებსა და ობიექტებზე, რომლებიც უცხოური ლიცენზიების გამოყენებით და კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე შენდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოფს სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ სატიტულო სიებისა და ხარჯთაღრიცხვების შეთანხმებას შემკვეთებთან მშენებლობისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღების შესახებ, აგრეთვე შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების პროგრესული ფორმების დანერგვას;

დ) შეიმუშავებს სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების რაციონალურად განვითარებისა და განლაგების სქემებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე იმ სამინისტროებისა და უწყებების წინადადებათა გათვალისწინებით, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სამინისტროს საქვეუწყებო სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის რაიონებში;

ე) განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება, სამუშაოთა წარმოების პროგრესული პროექტებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა მშენებლობებზე, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლება და მშენებლობაში მანქანების გამოყენების ეფექტიანობა, სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გამსხვილება და სპეციალიზაცია;

ვ) უზრუნველყოფს სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ სამშენებლო ნორმებისა და წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვას;

ზ) შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეუქმნის სუბმოიჯარე ორგანიზაციებს საჭირო პირობებს მათ მიერ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა დროულად და სათანადოდ შესრულებისათვის;

თ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით წარადგენს ტექნიკურ-ეკონომიურ მოთხოვნებს ახალი სამშენებლო მანქანების, მექანიზებული ინსტრუმენტისა და სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალებების შექმნის შესახებ, მონაწილეობს მათი მისაღები გამოცდების მოწყობაში;

ი) უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებში საჭირო საშენი მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების, აგრეთვე მცირე მექანიზაციის იმ საშუალებათა წარმოებას, რომლებსაც მრეწველობა არ აწვდის;

კ) მოაწყობს საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების გადაზიდვას ტექნოლოგიური და სხვა სპეციალიზებული ტრანსპორტით;

ლ) შეიმუშავებს წინადადებებს იმის შესახებ, რომ შეიქმნას ერთიანი გეგმით სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას სასოფლო მშენებლობაში, და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს;

მ) უზრუნველყოფს სამინისტროს ორგანიზაციების მიერ კაპიტალურ მშენებლობაში საიჯარო და სუბსაიჯარო ხელშეკრულებების დადებას და ამ ხელშეკრულებათა როლის ამაღლებას;

ნ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის გამომუშავების უწყებრივ ნორმებს და სამშ-

ნებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ფასდებას, რომლებიც არ არის გათვალისწინებული გამომუშავების ერთიანი ნორმებითა და ფასდებით;

ო) მოაწყობს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, განსაზღვრავს მათ მოთხოვნილებას მასალებზე, მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, მიიღებს და დადგენილი წესით გაანაწილებს მომხმარებლებს შორის მასალების, მოწყობილობისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყოფილ ფონდებს, კონტროლს გაუწევს ფონდების რეალიზაციას და მათს გამოყენებას დანიშნულებისამებრ, განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის; კონტროლს გაუწევს საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ სამეურნეო ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უზრუნველყოფს მასალების სწორად შენახვას და განახორციელებს მათი მომჭირნეობით ხარჯვის ღონისძიებებს;

პ) განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების ღონისძიებებს, დადგენილი წესით დააფინანსებს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესება, და უზრუნველყოფს მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების შესრულებას, შექმნის დადგენილი წესით ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვს; გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს, რათა გადაანაწილოს საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შესაქმნელი თანხები და სხვა საშუალებანი, აგრეთვე — ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტისათვის საამორტიზაციო ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

ჟ) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს სამშენებლო, სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს შრომის გეგმის ფარგლებსა და მმართველობის აპარატის შესანახ იმ ასიგნებათა ფარგლებში, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მიერ, აგრეთვე განახორციელებს ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა გადაყვანას შრომის ანაზღაურების ერთი ჯგუფიდან მეორეში;

რ) მოაწყობს აღრიცხვასა და ანგარიშგებას სამინისტროს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სამმართველოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განიხილავს და დაამტკიცებს მათ ანგარიშებსა და ბალანსებს;

მოაწყობს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებს და უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას;

ს) შეიმუშავებს წინადადებებს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ღონისძიებებს. კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად გამოყენებას, შრომის დის-

ციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა განხორციელებას, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვას;

ტ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამინისტროს და მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების აპარატის სტრუქტურის გაუმჯობესებას და შენახვის ხარჯების შემცირებას;

უ) მოაწყობს საქვეუწყებო საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი ქონებრივი და წინასახელშეკრულებო დავის განხილვას სამინისტროს უწყებრივ არბიტრაჟში;

ფ) ეწევა მუშაობას ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა შერჩევის, აღზრდის, მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და მათი სწორად გამოყენებისათვის; განსაზღვრავს საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე, განახორციელებს სამინისტროს სასწავლებლების ხელმძღვანელობას;

ქ) დადგენილი წესით წარადგენს მოწინავე მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს საპატიო წოდების მისანიჭებლად, მთავრობის ჯილდოებით, სამკერდე ნიშნებით დასაჯილდოებლად, გამოიყენებს სხვა სახეობათა წახალისებას;

ღ) პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, რომლის მიზანია მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლა, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, თვითღირებულების შემცირება, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვა, ხელს შეუწყობს კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარებას.

მიიღებს ზომებს ორგანიზაციებსა და საწარმოებში რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველნაირად განვითარებისათვის, უზრუნველყოფს გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას;

ყ) მოაწყობს მუშაობას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისა და სახანძრო უშიშროების წესების დაცვისათვის;

შ) მოაწყობს მშრომელთა წერილების (განცხადებებისა და საჩივრების) დროულად და ყურადღებით განხილვას, აგრეთვე მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნულ საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს მინისტრი.

7. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის, იგი დააწესებს მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის დონეს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

8. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბრძანებების, მითითებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა სამინისტროს ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ შესასრულებლად, და შეამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

9. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სამშენებლო წარმოების, სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზის განვითარების ძირითად საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, განიხილავს საწარმოებისადმი, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსების, აგრეთვე სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების წამოჭრის შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებზე, სხვა ტექნიკურ-ეკონომიურ საკითხებზე წინადადებათა განსახილველად, აგრეთვე სამამულო და უცხოელის მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყენებისა და წარმოებაში დანერგვის რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის დებულებას დამტკიცებს მინისტრი.

11. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მისი სამმართველოების, განყოფილებების დებულებებს და სამეურნეო ორგანიზაციათა წესდებებს (დებულებებს) დამტკიცებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრი.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა სამინისტროს სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაიყვანოს სამეურნეო ანგარიშზე.;

12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

---

54 „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 15 მაისის № 384 დადგენილების მე-8 პუნქტის შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 მაისის № 374 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 23 ივნისის № 392 დადგენილების მე-10 პუნქტის შესაცვლელად, ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს ხარჯონ ამონაგების ნაწილი (გადაუდებელი საჭიროებისათვის დაწესებული ნორმის გადამეტებით) იმისათვის, რომ შეიძინონ საცალო მაღაზიებში ნაღდ ანგარიშზე ინსტრუმენტი, სათადარიგო დეტალები, ძაფი, საბორტე მასალა, ფოლაქი, ლაქი, საღებავი, პარფიუმერია-კოსმეტიკური საქონელი, ფოტოქაღალდი და მოსახლეობისათვის მომსახურების გასაწევად საჭირო სხვა მასალები 30 მანეთამდე ერთდროულად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 6 ივნისი, № 316.

55 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად შეიძლება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„132. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საცხოვრებელი სახლები".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 20 ივნისი. № 335.

56 საკოლმეურნეოგათაშორისო სანატორიუმების მშენებლობის შესახებ

კოლმეურნეთა და მათი ოჯახების წევრთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომ აშენდეს საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმები კოლმეურნეობათა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული ფონდისა და კოლმეურნეთა სახსრების ხარჯზე საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წილობრივი მონაწილეობით.

დაწესდეს, რომ საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობის მატერიალური უზრუნველყოფა უნდა წარმოებდეს იმ ფონდების ხარჯზე, რომლებიც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყოფა საკოლმეურნეო მშენებლობისათვის.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ყოველწლიურად გაითვალისწინოს კოლმეურნეობათა მშენებლობის წლიური გეგმების პროექტებში საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობა, მათ შორის 1973 წელს—ერთი მილიონი მანეთის მოცულობით, აგრეთვე გამოყოს ლიმიტები საპროექტო-საძიებო და საიჯარო სამუშაოებისათვის.

3. საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ უზრუნველყოს 1972 წლის დამლევამდე ბორჯომის 250-საწოლიანი საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმის მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა შესრულება 1972 წლის საერთო გეგმის ანგარიშში.

4. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საბჭოს შექმნას რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმი“, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმების მშენებლობასა და ექსპლოატაციას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს დებულება რესპუბლიკური გაერთიანების „საქკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმის“ შესახებ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დააწესოს გაერთიანების აპარატის საშტატო რაოდენობა და მისი შენახვის ხარჯების ხარჯთაღრიცხვა დაფინანსების წყაროების აღნიშვნით.

6. დაევალოთ ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი კვირის ვადაში გააფორმონ მასალები საკოლმეურნეობათაშორისო სანატორიუმის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 23 ივნისი, № 351.

57 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად შეიძლება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„133. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენ მასალათა ტრესტის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 23 ივნისი, № 352

58 საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 29 მარტის № 180 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 22 ივნისი, № 353.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1972 წლის 22 ივნისის № 353
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, შეიქმნება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 139-ე მუხლის შესაბამისად და მოქმედებს ამ დებულების, აგრეთვე იმ წესდების საფუძველზე, რომელსაც მიიღებს საზოგადოების ყრილობა და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

2. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ამოცანას წარმოადგენს ყრუ-მუნჯ, ყრუ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა გაერთიანება, რათა ისინი დააწაფოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითს საქმიანობას, გააუმჯობესოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხელი შეუწყოს მათი იდეურ-პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკური დონის ამაღლებას და ჩააბას ისინი კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში.

3. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება;

ა) მიიზიდავს ყრუ, მუნჯ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს საზოგადოების წევრებად;

ბ) მიიღებს ზომებს, რათა ჩაებას ყრუ-მუნჯი, ყრუ და სმენადაქვეითებული პირები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითს საქმიანობაში, რისთვისაც დაეხმარება მათ საწარმოო კვალიფიკაციისა და სპეციალობის მიღებაში, შრომითს მოწყობაში საზოგადოების სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და სოფლის მეურნეობაში;

გ) მოაწყობს პოლიტიკურ-აღმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ყრუ-მუნჯ, ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს შორის და ხელს შეუწყობს მათ ზოგადი, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებაში;

დ) მიიღებს ზომებს თანამედროვე კონსტრუქციების სასმენი აპარატების, ისეთი სპეციალური მოწყობილობებისა და ხელსაწყოების შემუშავება-დანერგვისათვის, რომლებიც აფართოებენ ყრუ-მუნჯ, ყრუ და სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა საწარმოო და კულტურულ შესაძლებლობებს;

ე) ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს გაშალონ სამედიცინო დახმარება და ფართო სანიტარიულ-პროფილაქტიკური მუშაობა სიყრუისა და ყრუ-მუნჯობის თავიდან აცილებისათვის;

ვ) მოაწყობს საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებებს და პირველადს ორგანიზაციებს;

შექმნის სასწავლო-საწარმოო, სარემონტო-სამშენებლო საწარმოებს და ბაზებს თავისი სასწავლო-საწარმოო წამოწყებების მოსამარაგებლად და დაუმტკიცებს მათ წესდებას.

მოაწყობს ამ სისტემაში შემავალ მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სემინარებს;

გახსნის კულტურის სახლებს, კლუბებს, წითელ კუთხეებს, კულტბაზებსა და სპორტულ მოედნებს;

ააშენებს საცხოვრებელ სახლებს, საწარმოო შენობებს, საერთო საცხოვრებლებს, ინტერნატებს;

მოაწყობს პიონერთა ბანაკებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს;

შექმნის დამხმარე მეურნეობებს, სასადილოებსა და სხვა საწარმოებს ყრუთა და ყრუ-მუნჯთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

4. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება თავის საქმიანობას განახორციელებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საერთო მეთვალყურეობითა და კონტროლით, ამასთან დაგეგმვის, ნედლეულის, მოწყობილობათა გამოყოფის, ახალ წარმოებათა მოწყობის საკითხებს, აგრეთვე სხვა საწარმოო საკითხებს გადაწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები თავიანთ საქმიანობას განახორციელებენ საზოგადოების ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების საერთო მეთვალყურეობითა და კონტროლით.

5. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი ორგანოები და სასწავლო საწარმოო წამოწყებები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით და დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა გამო საკუთარი ქონებით, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

6. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა და მისი ადგილობრივი ორგანოები გამოდიან საზოგადოებისა და მისი წევრების საქმეთა წარმომადგენლებად ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

II. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საქმეთა მმართველობა

7. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მმართველობისა და კონტროლის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები შეიქმნება და მოქმედებენ იმ საფუძველზე, რომლებსაც საზოგადოების წესდება განსაზღვრავს.

8. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მთელი მუშაობის დაფინანსება ხდება საზოგადოების საკუთარი სახსრებიდან.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების სახსრები იხარჯება საზოგადოების ამოცანების შესაბამისად საფინანსო ხარჯთაღრიცხვებისა და საზოგადოების მუშაობის გეგმების მიხედვით.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პლენუმი, ხოლო

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის აპარატის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას დაამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი და რეგისტრირებული იქნება ადგილობრივ საფინანსო ორგანოში.

საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული განყოფილებების, სასწავლო-საწარმოო წამოწყებების, კლუბების, პირველადი და სხვა ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებს, საზოგადოების ორგანიზაციების სასწავლო-საწარმოო საქმიანობის ძირითად გეგმიან მაჩვენებლებს დაამტკიცებს ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.

საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყებების, კლუბების, პირველადი და სხვა ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე სასწავლო-საწარმოო წამოწყებების ძირითად საგეგმო მაჩვენებლებს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში დაამტკიცებენ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების რესპუბლიკურ და საოლქო განყოფილებათა გამგეობების პრეზიდიუმები.

9. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების მმართველობის ცენტრალური ორგანოები (ცენტრალური გამგეობა და მისი პრეზიდიუმი) საზოგადოების საქმიანობას წარმართავენ ამ დებულების და საზოგადოების წესდების შესასრულებლად, ასრულებენ წესდებით მათზე დაკისრებულ ფუნქციებს და უფლება აქვთ:

ა) დაამტკიცონ საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები საზოგადოებისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

საზოგადოების საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და საშტატო ცხრილები შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში და სათანადო საფინანსო ორგანოებში კუთვნილებისამებრ;

ბ) დატოვონ თავიანთ განკარგულებაში საზოგადოების საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის შრომის გეგმის განაწილების დროს მუშაკთა რიცხვისა და ხელფასის ფონდის რეზერვი 2 პროცენტამდე რაოდენობით;

გ) აძლიონ საზოგადოებისათვის დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში პრემიები საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებს დიდმნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის, გარდა შრომის ანაზღაურებისა და პრემიული სისტემის მოქმედი დებულებებისა, აგრეთვე აღმოუჩინოს ამ სახსრებიდან ერთდროული დახმარება, ამასთან ხარჯონ აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის 3 პროცენტამდე;

დ) შექმნან სასწავლო-საწარმოო წამოწყებებში მათივე დაგროვების ხარჯზე წამახალისებელი ფონდები (მატერიალური წახალისების ფონდი და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდი). ანალოგიური ცენტრალიზებული ფონდი შეიქმნება საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმთან მუშამოსამსახურეთა პრემიებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. აღნიშნულ ფონდში ჩასარიცხი თანხების ოდენობას განსაზღვრავს ცენ-

ტრალური გამგეობის პრეზიდიუმი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

ე) დაამტკიცონ მშენებლობათა ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე იმ მშენებლობის საპროექტო დავალებანი და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი, რომელიც ხორციელდება დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებისა და განმეორებითი გამოყენების პროექტების მიხედვით;

ვ) შეიტანონ საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებანი მშენებლობათა საპროექტო დავალებებსა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში, გარდა მთავრობის მიერ დამტკიცებული ძირითადი მაჩვენებლებისა, ისე რომ არ მოხდეს მშენებლობის საერთო ღირებულების გადიდება;

ზ) დანიშნონ კომისიები საწარმოების საექსპლოატაციოდ მისაღებად, აგრეთვე დახურონ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ზელიმიტური მშენებლობის ობიექტების ხარჯთაღრიცხვები და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი;

თ) გადაანაწილონ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გარდამეტი საკუთარი საბრუნავი სახსრები კვარტალური ბალანსებით, რისთვისაც წარადგინონ ბანკის მეშვეობით ბრძანებანი, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

ი) გადაანაწილონ საზოგადოების საწარმოთა და ორგანიზაციათა ზედმეტი და გამოუყენებელი მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, სხვა მატერიალური ფასეულობანი და ნება დართონ მათი რეალიზაციისა, აგრეთვე გადასცენ ფონდები ან მისცენ თავიანთი არსებული რესურსებიდან მასალები და წვრილი მაკომპლექტებელი მოწყობილობა საკავშირო-რესპუბლიკური, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს დაწესებული ნორმებით საჭირო პროდუქციის დასამზადებლად ხელშეკრულებების თანახმად;

კ) განიხილონ და დაამტკიცონ მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების მიერ გამოშვებულ ნაკეთობათა ტექნიკური პირობები, რომლებზედაც არ არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, სარესპუბლიკათაშორისო და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები, აგრეთვე დაამტკიცოს იმ ნაკეთობათა ტექნიკური აღწერილობა, რომლებზედაც არსებობს სახელმწიფო სტანდარტები, სარესპუბლიკათაშორისო ტექნიკური პირობები და რესპუბლიკური ტექნიკური პირობები, ამასთან აუცილებლად შეათანხმონ ტექნიკური პირობები და ტექნიკური აღწერილობა იმ წესით, რაც დადგენილია მოქმედი ინსტრუქციით „სამრეწველო პროდუქციის ტექნიკური პირობების შემუშავებისა და დამტკიცების წესის შესახებ“.

III. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრები

10. საზოგადოების წევრთა მიღებისა და გარიცხვის წესი, მათი უფლებამოვალეობანი, შესასვლელი და საწევრო შენატანების გადახდევინების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წესდებით.

IV. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებისათვის მინიჭებული შეღავათები და უპირატესობანი

11. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი განყოფილებები, აგრეთვე მათს გამგებლობაში არსებული სასწავლო-საწარმოო წამოწყებები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისუფლდებიან ადგილობრივი გადასახადებისაგან, გამოსაღებისა და მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირისაგან.

12. საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას და მის სასწავლო-საწარმოო წამოწყებებს აქვთ უპირატესი უფლება მიიღონ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო საწარმოთა ნარჩენები, გარდა იმ ნარჩენებისა, რომლებიც მომარაგების სახელმწიფო გეგმით ჩაითვლება რესურსებში.

59 საქართველოს პედაგოგიური საზოგადოებისათვის იაკობ გოგებაშვილის სახელის მიკუთვნების შესახებ

დიდი ქართველი პედაგოგ-კლასიკოსის იაკობ გოგებაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიეკუთვნოს იაკობ გოგებაშვილის სახელი საქართველოს პედაგოგიურ საზოგადოებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 26 ივნისი, № 355.

60 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად შეიძლება მუშებისა და მოსამსახურეების გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, დაემატოს შემდეგი პუნქტი:

„134. შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტის“ საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1972 წ. 29 ივნისი, № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1972 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-1972 წ. ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 2,5, სააღრიცხვო თაბახი 2,5.

წლიური ხელმოწერის ფასი 5 მან.

შეკვეთა 748 უე 05642 ტირაჟი 2100

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.